

PRIME
TIME.GE

გუშინ მორიგი მანანალა "მიშინტაბი" აგვეტორღილენ, ქართველ ადამიანს, რომელიც საკუთარი სამშობლოსთვის, რწმენისთვის, კულტურისთვის, გადარჩენისთვის იბრძოდა, არასდროს შეშინებია იმისა, რომ მას ვინმე თავს ეხსმოდა, ამიტომ ასეც შეუძლიათ გააბრძოლონ


თეა წულუკიანი



ოპოზიცია თავის ნათქვამ სისულელეში თავადვე იხლართება



სასახილწოა, საზირაღი რწმ არ იყოს...



უკრაინის ბედს აზრ, რინეთი და რუსეთი გადაწყვეტან

ქურაში გამოსულთა მოთხოვნები უსაფუკვლოა!



მე ახლას უკან დამხევს ვკაცვარ?!



საქართველოს ისტორიაში პირველად, ქვეყანაში 6 მილიარდი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დასრულდა.

მთავრობის მეთაური აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტში არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრმა აჰმედ ალ საიემ გააცილა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მეთაური არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტს, შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტის რეზიდენციაში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად, საქართველოს ისტორიაში პირველად, ქვეყანაში 6 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდება. უმსხვილესი დეველოპერული კომპანია Emaar Properties/Eagle Hills-ი საინვესტიციო პროექტებს თბილისსა და გონიოში განახორციელებს.

ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაურმა შეხვედრები გამართა არაბთა გაერთიანებული საამიროების ტოლერანტობის მინისტრთან, შეიხ ნაჰიან ბინ მუბარაკ ალ ნაჰიანთან, ასევე, აბუ-დაბის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიასთან და მის ლოგისტიკურ მიმართულებასთან, აბუ-დაბის პორტების ჯგუფთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული შუა დერეფნის განვითარებაში და თბილისის მშრალი პორტის პროექტს ასორციელებს.



შალვა პაპუაშვილი: გადღობა უნგრულ მხარეს საქართველოს შეუქცევადი მხარდაჭერისთვის

მოხარული ვარ, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად უნგრეთს ვესტუმრე. ეს არის საქართველოს პარლამენტის XI მოწვევის პირველი ოფიციალური ვიზიტი. აღსანიშნავია, რომ ის ზორციელდება ქვეყანაში, რომელიც საქართველოსადმი მტკიცე მხარდაჭერით გამოირჩევა.

ნაყოფიერი შეხვედრა გეჰქონდა ჩემს კოლეგა ლასლო კოვერთან. ბატონი თავმჯდომარე საქართველოს ჯერ კიდევ 2023 წელს ესტუმრა და მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენ ვახორციელებთ საპასუხო ვიზიტს, რაც კარგად წარ-

მოაჩენს, თუ როგორ ვითარდება ჩვენი საპარლამენტო კავშირები.

ძალიან ვაფასებ უნგრეთში ვიზიტის განხორციელების შესაძლებლობას გეოპოლიტიკურად არასტაბილურ პერიოდში, როდესაც მსოფლიო სხვადასხვა პოლიტიკური და უსაფრთხოების გამოწვევის წინაშე იმყოფება. დღევანდელ რთულ გარემოში ისეთ მეგობრულ ქვეყნებს შორის შემდგომი თანამშრომლობა და ურთიერთმხარდაჭერა, როგორცაა საქართველო და უნგრეთი, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

შეხვედრის ფარგლებში, დიდი მადლობა გადავუხადე უნგრულ

მხარეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის და ევროპული მომავლის მტკიცე და შეუქცევადი მხარდაჭერისთვის.

ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა საუკუნეების წინ წარმოიშვა და საერთო ევროპულ ღირებულებებს ეფუძნება, რომლებიც ჩვენი ძლიერი ქრისტიანული მემკვიდრეობიდან მომდინარეობს. უკანასკნელ წლებში, ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით, ჩვენი კავშირები სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე ავიყვანეთ, რასაც ჩვენი ქვეყნებისა და ხალხებისთვის დადებითი შედეგები მოაქვს.

პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი პირველი ლიდერი გახლავთ, რომელიც 2024 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა. აღნიშნული ჩვენი ძლიერი მეგობრობისა და ურთიერთმხარდაჭერის კიდევ ერთი დადასტურებაა.

სამთავრობო დონეზე კომუნიკაცია ხშირია. შეხვედრის ფარგლებში, მე და ჩემი კოლეგა შევთანხმდით საპარლამენტო მიმართულებითაც ჩვენი ჩართულობის კონსოლიდაციაზე. დღეს ჩვენს ორ საკანონმდებლო ორგანოს შორის თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო ხელშეკრულება გავაფორმეთ. მე მჯერა, რომ ეს შეთანხმება ჩვენს ქვეყნებს შორის კიდევ უფრო ნაყოფიერი პარლამენტარული დიალოგისა და გამოცდილების გაზიარებისთვის მყარ საფუძველს შექმნის. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს ინფორმაციის შემდგომ გაზიარებას პარლამენტების ადმინისტრაციებს, სექტორულ კომიტეტებსა და მეგობრობის ჯგუფებს შორის.

ჩვენ, აგრეთვე, შევთანხმდით ევროპული პოლიტიკური პლატფორმების ფარგლებში თანამშრომლობაზე.

შეხვედრის ფარგლებში, მე, ასევე, ვისაუბრე ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოს გეგმებზე და ხაზი გავუსვი საქართველოს მიზანს, 2028 წლამდე ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების 90% განახორციელოს. მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი ეს შეთანხმება ჩვენი მთავარი გეგმაა, რათა გავაგრძელოთ ევროკავშირთან სამართლებრივი და ინსტიტუციური დაახლოება. მადლობას ვუხდით უნგრეთს ამ პროცესში ჩვენი დახმარების მზაობისთვის. თქვენი გამოცდილება ჩვენთვის ძალიან სასარგებლოა.

მადლიერები ვართ აქ, ეროვნულ ასამბლეაში თბილი დახვედრისთვის. ძალიან ვაფასებთ უნგრული მხარის თითოეულ ნაბიჯსა და განცხადებას, რომლებიც საქართველოს მხარდაჭერაზეა მიმართული. მზად ვართ, მომდევნო წლებში გავაღრმავოთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა.

უნგრეთის პრეზიდენტ ტამაშ შუიოკთან შესანიშნავი შეხვედრა მქონდა.

მივესალმეთ პოზიტიურ დინამიკას საქართველო-უნგრეთის ურთიერთობებში.

უნგრეთის პრეზიდენტის თქმით, საქართველო უნგრეთისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია. მან აღნიშნა, რომ ორივე ქვეყანამ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში შეძლო ეროვნული იდენტობის, კულტურისა და ენის შენარჩუნება და ხაზი გაუსვა საქართველოსა და უნგრეთს შორის ძლიერ ისტორიულ და რელიგიურ კავშირებს, რაც ხელს უწყობს ერებს შორის ურთიერთგაგებას.

მიმოვიხილეთ საქართველო-უნგრეთის ურთიერთობები ვაჭრობისა და ეკონომიკის, ენერჯეტიკის, განათლების, კულტურისა და ტურიზმის მიმართულებებით. ხაზი გავუსვი ნაყოფიერ საპარლამენტო თანამშრომლობას.

საუბარი, აგრეთვე, შეეხო საქართველოს გეგმებს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. განვაცხადე, რომ 2030 წლისთვის საქართველო მზად იქნება ევროკავშირის წევრობისთვის.

უნგრეთის პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და ევროპული მომავლისადმი მტკიცე მხარდაჭერა გამოხატა.



გადაადგილება უფრო უსაფრთხო და კომფორტული განსება

ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, წყნეთში, მიაა წყნეთელის II ჩიხში საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის შედეგად, 4400 კვ. მ ფართობის გზა განახლდება, გადაადგილება უფრო უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

საგზაო სამუშაოების მიმდინარე პროცესს ვაკის რაიონის გამგებელი ღაზით კვინიკაძე გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.



(დასაწყისი „სა“ №9. 2023)

ცოდნა - უსარგებლო, განათლება კი ხელისუფალთათვის საუიუი გახდა

მიზნებისგან განსხვავებულია? შემდეგ, სოროსმა „პროფესორების შემწეობები“ დაარიგა, თუმცა, მე მათ აღარ გავეკარე.

ამდენად, ისევე და ისევე, როდესაც ვინმე ჰუმანიტარულ საქმიანობას ეწევა, ამ საქმიანობას ძალზე მცირე შეხება აქვს ჰუმანიზმთან, მთავარი იმ მიზნის მიღწევაა, რასაც ეს „ჰუმანიტარული დახმარება“ ემსახურება.

მეცნიერების უგულვებელყოფა ეკონომიკის განადგურების საფუძველია. არც არის გასაკვირი, რადგან „განვითარებადი ქვეყნის სტატუსი“ გვიბოძეს, რაც დაბალ-განვითარებულ ეკონომიკასთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების დაბალ დონესაც გულისხმობს და ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ დახმარებაც — სამწუხაროდ,

„მენეჯერი“ — ინგლისურიდან შემოტანილი სიტყვაა, რაც ნიშნავს ხელმძღვანელ პირს საკუთარი კაპიტალის გარეშე. ასევე პირს, რომელიც პასუხს აგებს შრომის ორგანიზაციასა და კონტროლზე ორგანიზაციაში ან საწარმოში. რატომ არ მოგწონთ სიტყვა „ხელმძღვანელი“, „მენეჯერი“ ვეროპულად ჟღერს ყურისთვის?

ჰოდა, თუ გახსოვთ, ერთმა ახალგაზრდამ ერთი უბადრუკი უნივერსიტეტის „მენეჯერის“ დიპლომი ჩამოიტანა ისლანდიიდან და ენერგეტიკის მინისტრად მოგვევლინა. მას ზომ „მენეჯერის“ უცხოური დიპლომი ჰქონდა!

ენერგეტიკაში მისი ცოდნა ისეთი აღმოჩნდა, რომ ერთი წელი ვერ დაიხსოვდა ენერჯისა და სიმძლავრის ერთეულები. თავისი-

გვჭირდება და არც დარგის სპეციალისტები? როგორც ვხედავთ, არ გვჭირდება! საკუთარი მუშახელიც კი არ გვჭირდება, ისინიც უცხოურმა კომპანიებმა უნდა ჩამოაყოლონ ხელს...

რომელი კულტურა და ხელოვნება, რა სულიერება და პატრიოტიზმი, რაღა დროს ასეთი მოძველებული ცნებებია!

ჰერმან ვან რომპემი, ევროსაბჭოს თავმჯდომარემ დაგვიბარა: „ისეთი ცნებები, როგორცაა „სამშობლო“ და „ეროვნება“, ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ“.

რატომ ვთქვით უარი მაღალი დონის განათლებაზე და „მიმტანების უნივერსიტეტების“ გახსნაზე დაკავარეთ იმედი?

ვინ დაგვაყენა ამ გზაზე, რასაც

ასაც იმიტომ ექცევა ყურადღება, რომ უკმაყოფილო ხალხის მასებისგან ოლიგარქებმა საკუთარი თავი დაიცვან...

უძველესი ამკვიდრებენ ყველაგან და ყველაფერში, რათა ხალხი გარედან ადვილად სამართავი იყოს...

ამიტომ უნდა გაიფიქროს ყველაფერი, არ უნდა შეგვეწვედეს უნარი, რომ ვმართოთ ის, რაც სამართავია. ყველაფერი, სტრატეგიული თუ არასტრატეგიული, უცხოელებს უნდა გადავცეთ, რადგან უცოდინრებს არაფრის მართვა არ შეგვეძლება...

სწავლა სირცხვილი გახდა (საკვირველია, მაგრამ საიდნადაც, ყველამ ყველაფერი იცის, ვერ შეჰბედავ, რომ რაიმე არ იცის და უნდა ისწავლოს), ცოდნა — უსარგებლო, განათლება — ხელისუფალთათვის საშიშია, ჰოდა, რაღა დროს „ისინი-ნე, სწავლის მიმდევრობა“?

აშშ-ის მრავალ სკოლაში, ჩვენებურად ე. წ. სიმწიფის ატესტატის მისაღებად, დრო, რომელიც იხარჯება კულინარიისა და ავტომობილის მართვის დაუფლებისთვის, იმდენივეა, რაც გამოყოფილია მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების შესწავლისთვის. თუმცა, აშშ-ში მრავლადაა ფასიანი „სამშუალო“ სკოლები, გაცილებით რთული სასწავლო პროგრამებით.

„სამშუალო“ სკოლა სამი ტიპისაა: „აკადემიური“, „პროფესიული“ და „მრავალპროფილიანი“. მრავალპროფილურ სკოლაში, მეცხრე კლასიდან დაწყებული, სხვადასხვა განყოფილებაა (პროფილი). მათ შორის უფრო გავრცელებულია: „აკადემიური“, „საერთო“, „კომერციული“, „ინდუსტრიული“ და „სასოფლო-სამეურნეო“. მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ აკადემიური პროფილი აძლევს მოსწავლეს უმაღლეს სასწავლებელში შესვლისთვის საკმარის განათლებას.

როგორც ამერიკელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, სკოლის ატესტატი არცთუ უზუსტად ასახავს კურსდამთავრებულის უნარებს და წარმატებებს სწავლაში. თუმცა, ნიჭიერი მოსწავლეებისთვის სპეციალური კურსები იქმნება, რომლებიც შინაარსით ახლოს არიან საუნივერსიტეტო კურსებთან. ამდენად, „სამშუალო სკოლის“ დამთავრების შემდეგ, ამერიკელ მოსწავლეს, ფაქტობრივად, სრულიად განსხვავებული ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება აქვს.

იმის თქმა, რომ აშშ-ის სკოლებში კარგი მდგომარეობაა, შეუძლებელია, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ხდება, მხოლოდ მტერს უნდა უსურვო — ჩვენი საჯარო სკოლების მიერ „მომზადებული“ ბავშვების უმრავლესობა „რეპეტიტორთა სკოლის“ გაყლის შემდეგაც კი ადრინდელი 7-წლიანი განათლების დონეზეა.

ჩვენთან სწორედ განათლების ის სისტემა შეიქმნა, რომელმაც ბავშვებს მაღალი დონის განათლების მიღება აუკრძალა!

(ბაბრამდგა იმნაბა)



ძირითადად, მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება. ამ შემთხვევაში, მათი ჰუმანიტარული დახმარება უფრო სახელმწიფოებრივი კორუფციის ფორმას იღებს.

გამოდის, თუ დახმარების მიღება გვინდა, უარი უნდა ვთქვათ საკუთარი ერის განათლებასა და მეცნიერებაზე, ვიცხოვროთ ისე, როგორც გვიკარნახებენ და გვიბრძანებენ.

ბუშმა საკუთარი ქვეყნის მეცნიერებას და განათლებას მიაყენა დიდი ზიანი და მისი ადმინისტრაციის რჩევები ჩვენს მეცნიერებასა და განათლებას კარგ დღეს დააყრიდა?

„ისინი სწავლის მიმდევრობა...“ — სწავლის მიმდევრობა სად მოძებნი, როცა ცოდნა გაუფასურებულია?

კარგი, გამოჩნდა „სწავლის მიმდევრობა“, ვის მიმართოს, სად შეიძინოს ცოდნა, როდესაც მთელი განათლების სისტემა განადგურებულია?

სწავლის მოტივაცია გაქრა, რადგან განათლებული ადამიანი თურმე, ქვეყანას აღარ სჭირდება.

რა საჭიროა სწავლა, როდესაც კარიერის აწყობა უსწავლელსაც მშვენივრად შეუძლია, მთავარია უცხოური, ლამაზად გაფორმებული რაიმე სერტიფიკატი, ცოდნა ხელმეტია...

აი, „განვითარებადი ქვეყანაში“ კარიერული წინსვლის გზები:

ანებმა შეატყვეს, რომ სრული „პრაფანი“ იყო ენერგეტიკაში და ფინანსთა მინისტრის საგარეოელში გადასვლა. ვერც იქ ივარგა „დიპლომაში“ მენეჯერმა“, მაგრამ მას ზომ უცხოური დიპლომი ჰქონდა, სადაც აუცილებლად უნდა დაეხვებოდა და მთავრობის ხელმძღვანელად დაგვისვს. ამას რომ უყურებდა ახალგაზრდა, ისედაც მოშლილ სწავლა-განათლებაში „ჩაბმულს“, სწავლაზე რა შთაბეჭდილება უნდა შექმნოდა, რა მოტივაცია უნდა გასჩენოდა?

უარესი! — „სასწავლებლად“ მიდიან აშშ-ში რაღაც „სპეცკურსებზე“ სახელმწიფოს მართვის „ხელოვნების“ დასაუფლებლად.

იქ საკმაო „გასამრჯელოსაც“ იღებენ და შესაბამისი „სერტიფიკატით“ ჯეკუადარიგებულები“ პირდაპირ ქვეყნის მართვის სადავეებთან ხვდებიან.

ამას სწავლა და ცოდნა არ სჭირდება, საკმარისია, რომ არ იცოდეს, სინდისი რა არის!

ჰოდა, რა საჭიროა ცოდნა? — განათლებაზე საუბარი აღარ არის. ჰოდა, გადახედეთ ჯერ მხოლოდ ტელევიზიებს და პირდაპირ დინახავთ ეთერში იმ ყველა უბედურებას, რაც თავს მოგვახვეთ, დაწყებული უგემოვნობით, დამთავრებული ბილწისიტყვაობით.

ვთქვათ, მეცნიერები აღარ გვჭირდება, მაგრამ არც ექიმი

ერის სრული გაუნათლებლობა და მისი სულიერი დეგრადაცია მოაქვს?

რატომ დამთავრდა საქართველოში „განათლების ერა“, იმიტომ, რომ ქართველი სხვათა მოჯამაგირე გამხდარიყო აქაც და უცხოეთშიც?

იქნებ, იმიტომ, რომ გაუნათლებელი ხალხის მოტყუება და მართვა უფრო ადვილია, თუნდაც გაუნათლებელივე ხელისუფლებისთვის, ვიდრე განათლებული საზოგადოებისა?

იქნებ, ამგვარი კონცეფცია მსოფლიო გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიაა და საქართველო იმ პოლიგონების ჩამონათვალში მოხვდა, სადაც ადამიანების „ჭკუის გამორეცხვის“ ფუნდამენტურ ექსპერიმენტს ატარებენ?

მერაბ ჯიბლაძე: „განათლების დაცემის ტენდენცია ევროპის ქვეყნებსა და აშშ-შიც ნათლად გამოჩნდა. ოცდამეერთე საუკუნე სწორედ მეცნიერებისა და განათლების პრესით დაიწყო აშშ-შიც და ევროპაშიც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ოლიგარქებმა მეცნიერებისგან ყველაფერი მიიღეს, რაც მათ კომფორტულ ცხოვრებას განაპირობებდა და დაკმაყოფილდნენ, ახლა მხოლოდ მასების მართვა დარჩა და ამიტომაც აქტუალური გახდა „მენეჯერები“.

იური სპრუდენცი-



ამის გარდა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ გაკვლივან პირს, მილიარდერ ილონ მასკს ცუდი ურთიერთობა აქვს ბრიტანეთის პრემიერთან კირ სტარმერთან და გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან, რომლებსაც საჯაროდ უდივრად და უხეშადაც კი მიმართავენ. როგორ გაგრძელდება მათი ურთიერთობა, მომავალში გამოჩნდება. თუმცა, გერმანიაში თებერვალში ვადამდელი არჩევნები იმართება და შესაძლოა, შოლცი თანამდებობის გარეშე დარჩეს.
რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტის მალე დასრულება დონალდ ტრამპის ერთ-ერთი დაპირებაა, რაც უკვე შეახსენეს შურნალისტებმა. ტრამპმა იუმორით აარიდა თავი პასუხს. თუმცა, სავარაუდოდ, დანაპირების განხორციელება გაცილებით რთულია, ვიდრე შორიდან ჩანს. გასულ კვირას

საპრეზიდენტო ვადა შარშან, 20 მაისს „გაუვიდა“. დიდი მოლოდინია მსოფლიო პოლიტიკურ საზოგადოებაში, როდის შედგება დონალდ ტრამპისა და მისი კოლეგის, ვლადიმერ პუტინის საუბარი. ტრამპი არ გამოიცხადებდა პუტინთან შეხვედრას. თუმცა, ვადებს მხარეები არ ასახელებენ. ერთი კი შეინიშნება, ორივე პრეზიდენტი ერთმანეთს კორექტულად თბილად მოიხსენებს. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ინაუგურაციის დღეს შედგა პუტინისა და ჩინეთის მმართველის სი ძინპინის ვიდეოკავშირი, რომელიც საათ-ნახევარს გაგრძელდა. ოფიციალური ინფორმაციით, ორი ქვეყნის ლიდერებმა გასული წლის შედეგები შეაჯამეს, მაგრამ დიპლომატიის ხანგრძლივობით თუ ვიზუალებით, სავარაუდოდ, მათ ბევრ სხვა თემაზეც ისაუბრეს.

საერთოდაც, დასავლელი შურნალისტებისთვის ზეულენსკი უკვე არასანტიკური პერსონა გახდა. უფრო მეტიც, მას მკაცრადც აკრიტიკებენ. „ნარკოფიური წიგნები, რომ იგი აშშ-ისგან არასაკმარის თანხას იღებს. შეჭმულ პურს მალე იფიცებენო, ამბობენ ჩვენთან, ირლანდიაში“, — დაწერა სოციალურ ქსელში შურნალისტმა ჩეი ბოუზმა.
საპროტესტო აქციები გაიმართა სლოვაკეთში პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს გადადგომის მოთხოვნით. მიზეზი მოსკოვში მისი ჩასვლა გახდა, სადაც რუსეთის ხელისუფლებასთან ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხი განიხილა. შეგახსენებთ, უკრაინის ხელისუფლებამ უარი თქვა რუსეთთან ევროპაში გაზის ტრანზიტის განხორციელებაზე, რის გამოც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ენერგობრუნდებოდა

ცვლილებებისა და გარდატეხის პერიოდი დადგა მსოფლიოს პოლიტიკაში, რამაც სათავე ამერიკის შეერთებული შტატებიდან აიღო მას შემდეგ, რაც თეთრი სახლის ოვალური კაბინეტი კვლავ უკვე მხორედ, დონალდ ტრამპმა დაიკავა. ინაუგურაციას მსოფლიოს საზოგადოება ყურადღებით ადევნებდა თვალს, აინტერესებდათ, რა პრიორიტეტებს დაასახელებდა აშშ-ის ახალი პრეზიდენტი.
ღონისძიების დასრულებისთანავე ახალმა პრეზიდენტმა დარბაზში, მომხრეების თანდასწრებით დაიწყო საქმედება — ხელი მოაწერა რამდენიმე განკარგულებას. აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპმა პირველივე სამუშაო დღეს ერთბაშად გააუქმა 78 კანონი, რომლებიც მისმა წინამორბედმა, ჯო ბაიდენმა გამოსცა. ახალმა პრეზიდენტმა შეასრულა წინასაარჩევნო დანაპირები და 2021 წელს კაბინეტოლოგიის შენობაზე შტურმის მონაწილეობის ბრალდებით დაკავებული 1500 პირი შეიწყალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტრამპის განკარგულებით, აშშ-ის ყველა საელჩოდან ჩამოხსნეს ლგბტ თემის დროშები. ამ ქმედებით მან კიდევ ერთხელ დადასტურა ინაუგურაციაზე ნათქვამი „არსებობს მხოლოდ ორი სქესი — ქალი და კაცი“, — რითიც შეაფთოა და დააბნია ლიბერალები.
თეთრი სახლის ადმინისტრაციამ უკვე დაიწყო საკადრო ცვლილებები. პენტაგონის ყველა ჩინოვნიკი, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ უკრაინისთან თანამშრომლობაზე, დაითხოვეს თანამდებობიდან, ზოგიერთი კი დროებით ჩამოაცილეს საქმედებიდან. ინაუგურაციის დასრულებიდან რამდენიმე საათში იუსტიციის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი წამყვანი თანამშრომელი დაითხოვა სამსახურიდან. გამოცემა „ვამინგტონ პოსტი“ ყურადღებას ამახვილებს ამ გარემოებაზე. გამოცემას უჩვეულოდ არ მიაჩნია საკადრო ცვლილებები, მაგრამ უკვირთ რამდენიმე საათში განხორციელებული წმენდა.
ამერიკული გამოცემები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ყველა თანამშრომელი.
გასულ კვირას სენატმა კრისტი ნოემი დაამტკიცა ქვეყნის შიდა უსაფრთხოების მინისტრად, პიტ ჰეგსი კი — თავდაცვის მინისტრად.

უკრაინის ბედს აზუ, ჩინეთი და რუსეთი გადაწყვეტენ

ტრად. საინტერესოა, რომ პეგესტის წინააღმდეგ ორი რესპუბლიკელი სენატორი გამოდიოდა, მაგრამ, მისი თანამდებობაზე დანიშნება შეუძლებელია. პენტაგონის ახალ შეფს გადაწყვეტილი აქვს აშშ-ის არმიის მოდერნიზაცია. „...ჩვენი ჯარების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, დაეცვათ ქვეყანა, მსოფლიოში ომები შევაჩეროთ და არა დაევიწყოთ ისინი“, — განაცხადა მან.
ადრინდელივით ხელგამღილად რომ აღარ დააფინანსებს უცხოეთის ქვეყნებს ტრამპის ადმინისტრაცია, ამის შესახებ ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე ითქვა. გასულ კვირას გამოცემა „პოლიტიკო“ იუწყებოდა, რომ ახალმა სახელმწიფო მდივანმა, მარკო რუბიომ განკარგულება გასცა, 90 დღით შეაჩერონ ყოველგვარი ფინანსური დახმარება საზღვარგარეთის ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის, უკრაინისთვისაც. ასევე, აშშ-ის განვითარების სააგენტომ (USAID) მითითება მიიღო, უკრაინაში ყველა ფინანსური პროექტი შეაჩეროს. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ქაოსი გამოიწვია არამარტო საზღვარგარეთ, არამედ ქვეყნის სხვადასხვა უწყებაში, — იუწყება „პოლიტიკო“.
დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებამ ძეგბი ჯონ დარბერტ კენედის მკვლელობების დეტალების გასაჯაროების შესახებ, სერიოზულად შეაფთოა აშშ-ის სპეცსამსახურები. ამერიკული გამოცემები აღნიშნულ ორგანიზაციებში წმენდას ვარაუდობენ. თუმცა, ძალოვან სტრუქტურებში მოსალოდნელი ცვლილებები თავად ტრამპმაც დააანონსა ჯერ კიდევ არჩევნებამდე.
აშკარა გახდა ევროპის ქვეყნების ახლანდელი მმართველების მიმართ დონალდ ტრამპის ცივი დამოკიდებულება. აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ევროპიდან მხოლოდ იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯა მელონი იყო მიწვეული. მიზეზი ცნობილია — საფრანგეთის, ბრიტანეთის, გერმანიისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლება არჩევნებში მხარს დემოკრატიკამალა პარისს უჭერდა.

გამოცემა „უოლსტრიტ ჟორნალი“ იუწყებოდა, რომ დონალდ ტრამპმა თავის უკრაინის საკითხებში სპეცფარმოდგენელს კიტ კელლოვს დაავალა, 100 დღის ვადაში მიღწიოს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დასრულება. გამოცემა იქვე შეკითხვას სვამს, როგორ შეძლებს კელლოვი დავალების პრაქტიკულად განხორციელებას. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტი თავად გააკონტროლებს მოლაპარაკებების შედეგებს. მარკო რუბიოს განცხადებით, ერთ დღეში ომის დასრულება პრეზიდენტმა ვერ შეძლო, რადგან „ამისთვის მძიმე დიპლომატიური შრომაა საჭირო“.
საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ მირმამერმა: „დასავლეთი ევროპის ქვეყნები სულაც არ არიან დაინტერესებული უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებით, რადგან მშვიდობის დამყარების შემთხვევაში აშშ ევროპიდან წავა“. პროფესორი ეჭვობს, რომ ტრამპმა მალე შეძლებს კონფლიქტის დასრულებას, რადგან ევროპული პოლიტიკური ელიტა ამის წინააღმდეგია. დასავლური პრესა კი უკვე ღიად წერს, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ცდილობს სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლას, რათა როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება. შეგახსენებთ, ზელენსკის

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი, რომელიც ტრადიციულად შვეიცარიის კურორტ დავოსში იმართება, ბოლო რამდენიმე წელია, პოლიტიკურ არენად გადაიქცა. ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული აღნიშნულ ფორუმზე წლების წინ. წლებადღელ ღონისძიებას ბევრი წამყვანი ქვეყანა და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი არ დასწრება. განაწევრებული ევროპული

შეუქმნა. მავანმა ხმები გააერთილა, ფიცო ევროკავშირის დატოვებას აპირებსო. ფიცოს თქმით, სლოვაკეთში უცხოური ფულგები მოქმედებენ, რომელთა მიზანშიც ქვეყანაში ხელისუფლების დამხობაა. პრემიერის თქმით, ისინი უცხოეთიდან, სხვადასხვა წყაროდან ფინანსდებიან, ამიტომაც გადაწყვიტეს ქვეყნიდან მათი გაძევება. საპროტესტო აქციებს მხარი დაუჭირა ზელენსკიმ, რომელმაც განაცხადა: „ბრატისლავა მოსკოვი არ არის, სლოვაკეთი ევროპაა“. ფიცომ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევაში დააბრუნა ზელენსკი და განაცხადა: „სლოვაკეთის მთავრობა არ გადადგამს ნაბიჯს, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქვეყნის ევროკავშირის წევრობას“. აქვე უნდა ითქვას, რომ სლოვაკეთში გამართული აქციები ტყუპისცალივით ჰგავს აქაურ მოვლენებს, ლოზუნგებითაც კი.
ბელარუსში კი კვირას საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, სადაც კვლავ ალექსანდრ ლუკაშენკომ უკვე მეშვიდედ გაიმარჯვა. იგი თითქმის 30 წელია ქვეყნის სათავეში.
მსოფლიოში ბევრი პოლიტიკური ცვლილება მოსალოდნელია, რომელთაც უახლოეს ხანში ვიხილავთ. ვნახოთ, რას მოგვტანს მომავალი...



აქსიზზე გამოსული ახალგაზრდობა აუცილებლად მიხვდება, სად არის სივრცე და სად - ფარისევლობა



ქართული თემის წარმომადგენლები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, როდესაც პროტესტანტებმა მათ რესტორან „ბაბილონი“ ერთად შეკრების საშუალება არ მისცეს. არასასურველი გადაწყვეტილებების გამო მოსამართლეთა მიმართ

მსგავსი წინააღმდეგობა არც დასავლეთის, არც საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. სამართალდამცავთა მისამართით ბუღინგს ტელეეკრანებიდან ლამის ყოველდღე ვუყურებთ, მაგრამ მართლმსაჯუ-

ლების მიმართ ასეთი უპატივცემულობა უკვე მეტიმეტია. სადამდე მივყავან ქვეყნის ინსტიტუტების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება? ამ და სხვა საჭირობებზე საკითხებზე ადვოკატ ბიბი ტაბლიაშვილს ვესაუბრეთ.

მოსამართლეთა მიმართ რადიკალების მხრიდან უმძიმესი და ზღვარგადასული ფაქტების, შეურაცხყოფის და კანონის ჩარჩოდან გასული მოვლენების მხარეებზე გავხვდებით რესტორან „ბაბილონი“-ში. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ რადიკალური ძალების წარმომადგენლები ევროპასთან ინტეგრაციას მოითხოვენ, თვითონ კი არაევროპულად იქცევიან. ეს არის კანონის ჩარჩოდან გასული ადამიანების რეალური სახე. მათ პოლიტიკასთან და სამართლიანობასთან არანაირი კავშირი არ აქვთ. სახელმწიფომ ასეთი რადიკალების მიმართ აღმინსტრირება და მიდგომები უნდა გაამკაცროს, ვინაიდან თითოეული ასეთი ფაქტის დაუსჯელობა საზოგადოებაში სერიოზულ უკმაყოფილებას და იმის განცდას აჩენს, რომ სახელმწიფოში დაუსჯელობის სინდრომი იკიდებს ფეხს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ რადიკალებს, დიდი ხანია, წითელი ხაზები აქვთ გადაკვეთილი. ასეთ დროს სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციოს ისინი.

ქურნალისტ მზია ამალღობელის დაკავების გამო, საიამ-გაგარცელა ინფორმაცია, რომ ქურნალისტის მხრიდან სამართალდამცავისათვის სილის გაწვანა არ არის დანაშაული ბრალის დასამტკიცებლად, მტკიცებულებათა სტანდარტს არ აკმაყოფილებს... რა სტანდარტზეა აქ საუბარი და როგორ შეაფასებთ რეველივებს, როგორც იურისტი? ხომ არ წახალისებს ამგვარი მოქმედებები საზოგადოებას ახალი დანაშაულების ჩადენისკენ?

ქურნალისტ მზია ამალღობელის ქმედების შეფასება, ბუნებრივია, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრეროგატივაა. თუმცა ჩვენ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს, გვაქვს უფლება, ვისაუბროთ ამ თემზე და გამოვთქვათ ჩვენი პოზიცია მომხდარის შესახებ, ვინაიდან ეს ფაქტი საჯარო სივრცეში მოხდა. ამ ფაქტს უნდა შეეხედოდნენ, როგორც სამართლებრივი, ისე სამოქალაქო პასუხისმგებლობის კუთხით. ის, რაც ქურნალისტმა გააკეთა, არის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მორალური შეურაცხყოფა და საზოგადოებისათვის იმის ჩვენება, რომ ხსენებული ქურნალისტისათვის არ არსებობს არც კანონი, არც კანონის ელემენტარული პატივისცემა, არც არანაირი შემზღვეველი ჩარჩო. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის ან რა გვარის პოლიციელს მიაყენა მან ფიზიკური შეურაცხყოფა. მით უმეტეს, თანამდებობის პირს. გარდა გამიზ-

ნული ფიზიკური შეურაცხყოფისა, ჟურნალისტს მიხნად ჰქონდა პოლიციის უფროსის მორალური შეურაცხყოფის მიყენება და დამცირება სხვა პოლიციელების წინაშე, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს იცავდნენ. მას უნდოდა პოლიციის თანამშრომლებში იმის განცდა გამოეწვია, რომ პოლიციის უფროსზე თავდასხმა მისთვის არაფერს არ წარმოადგენს და სახელმწიფო უძღურია მისნაირი „ავტორიტეტული“ ჟურნალისტების წინაშე. მან მიიტანა იერიში სისტემის მდგრადობაზე და თუ ამას რეაგირება არ მოჰყვებოდა, პოლიციელების შეურაცხყოფა ყველა ფენის ნაბიჯზე იყო მოსალოდნელი. სწორედ ამას ემსახურებოდა პოლიციელის ფიზიკური შეურაცხყოფა. დედამიწაზე არ არსებობს რომელიმე სახელმწიფო, სადაც მსგავსი ქმედებაზე სახელმწიფოს რეაგირება არ ექნება. ეს არის ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი მიდგომა. არცერთი სახელმწიფო არ დაუშვებს მსგავსი ქმედების რეაგირების გარეშე დატოვებას. სააკაშვილის რეჟიმის დროს ამ ქურნალისტს 5 კილოგრამი ნარკოტიკი ექნებოდა უკვე ჩადებული და ქალთა კოლონიის სამუდამო ბინადარი იქნებოდა. იქიდან ცოცხალი გამოვიდოდა თუ არა, არავინ იცის.

რაც შეეხება იურიდიულ ასპექტს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 353-ე მუხლების შინაარსი კონკრეტულად განმარტავს ასეთი ქმედების შეფასებას და სანქციას, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სასამართლოს შესაფასებელია.

იურიდიული თვალსაზრისი პოლიციელზე თავდასხმის მუხლი, ანუ 353.1 არ აკონკრეტებს ზუსტ ჩამონათვალს რა მოიაზრება თავდასხმაში, თუმცა იქვე განმარტებულია, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელზე თავდასხმა არის დასჯა-

დი. მზია ამალღობელის მოქმედება არის ხელის გარტყმა და არა სილის გაწვანა. ნებისმიერი ელემენტარული კვალიფიკაციის მქონე იურისტი დადასტურებს იმ აზრს, რომ მიხნად ხელის გარტყმა პოლიციელისთვის და არა სილის გაწვანა. ხელის გარტყმა არის თავდასხმა და შეუძლებელია ობიექტურად და მიუკერძოებლად იურიტმა ეს უარყოს, მით უმეტეს, როცა ის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს. ამავდროულად აქვს მერიე ნაწილი, სადაც წერია ჯანმრთელობის ხელყოფა, ანუ ზიანის მიყენება. ამალღობელს აქვს პირველი ნაწილი, ანუ თავდასხმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ეს ფაქტი სამართლებრივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, ასევე, მორალური მსჯელობისაც, რაზეც ხეშობთ დეტალურად ვისაუბრებ.

ევროპული სამართალი გვეუბნება, რომ განაჩენის გამოტანის დროს უნდა შენარჩუნდეს მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტი. თუ მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტი მეუბნება, რომ პირი დამნაშავეა, არ უნდა დავსაჯოთ? რა შუაშია აქ პოლიტიკა?

ქართული სახელმწიფოს დღევანდელი სასამართლო სისტემა რომ რადიკალურად განსხვავდება სააკაშვილის რეჟიმის სასამართლოსგან, ეს საქართველოში ფართო საზოგადოებისთვის არის ცნობილი.

2021 წელს გამოიცა კრებული სახელწოდებით „ევროპის საბჭო, სტრასბურგის სასამართლო და საქართველო“, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი მეც ვარ. აღნიშნულ კრებულში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 1999-2003 და 2004-2012 წლებში საქართველოდან გაგზავნილი საჩივრები და განხილული საქმეები.

მთელმა მსოფლიომ იცის, რა

უბედურება ხდებოდა ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით საქართველოში, განსაკუთრებით, 2004-2012 წლებში, სააკაშვილის მოძალადე რეჟიმის დროს. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ დღეის მდგომარეობით, დაახლოებით 10-ჯერ არის შემცირებული საჩივრების გაგზავნა ევროსასამართლოში. დღეს თუ ვინმე აგზავნის საჩივარს სტრასბურგში, იშვიათი გამოჩალიკის გარდა, ძირითადად, ოპოზიციური რადიკალები და მათი სატელიტები არიან, თუმცა, მათ-



თვის არასახარბიელო შედეგებით სრულდება საჩივრების განხილვა. ესეც უკვე საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

დედამიწაზე ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი შესაძლებელია, სასამართლოში იყოს ხარვეზები. ამის მაგალითი თვით ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში არაერთია.

მთავარი არის შემდეგი: ისევე, როგორც, რადიკალების ხელისუფლებაში მოსვლამდე ყველა არჩევნები მათთვის „გაყალბებულია“, ასევე, ყველა განაჩენი, რომელიც მათთვის მიუღებელია, უკანონოა. ეს არის მათი სტრატეგია და ამ აბსურდულ ნარატივს ებღაუჭებიან, რომელიც, რა თქმა უნდა, მათთვის მისაღებ შედეგს ვერ მოიტანს.

მიუხედავად ამ ანტისახელმწიფოებრივი, უცხოეთიდან თუ ადგილობრივი რადიკალებიდან მომდინარე ქმედებებისა, ქართული სახელმწიფო ძლიერდება და სტაბილური ხდება.

სამართალში ჩაუხედავი ჩვეულებრივი მოქალაქე ხშირად ადვილად იჯერებს მართალსა და ტყუილსა. ამ ფონზე, ხომ არ დადგა დრო, სახელმწიფომ უფრო მეტი გააკეთოს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად?

სახელმწიფო უნდა იყოს მაქსიმალური ყურადღებით და იმის პარალელურად, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობის გარანტი, ასევე ყველა ღონე უნდა იხმაროს

საზოგადოების სწორი ინფორმირებულობისთვის. უნდა მოხდეს იმ ფაქტებისა და მოვლენების დეტალური და სამართლებრივი განმარტება საზოგადოებისათვის, რომლებიც სახელმწიფოს სტაბილურობას და მდგრადობას არყვეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რადიკალების სასამართლო სხდომების გასაჯაროება, მათი რეალური სახის წარმოჩენა.

მთელმა მსოფლიომ ნახა, თითქოსდა მომაკვდავი და დემენციიანი სააკაშვილი როგორ

გამოიყურება დღეს საახალწლო სუფრასთან მჯდომი თამბაქავით. ეს არის ამ ადამიანების ყველაზე ანეკდოტური და კომიკური სახე. ისევე, როგორც თითქოსდა ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციებზე მიპატივებული ე.წ. ოპოზიციონერები, 13 გრადუს ვინავში რომ იყინებოდნენ ქუჩაში. ეს ყველა კადრი რაც შეიძლება ხშირად უნდა აჩვენო საზოგადოებას, რასაც აუცილებლად ექნება დადებითი ეფექტი.

რას ურჩევდით ახალგაზრდობას სამართალდამცავებთან ურთიერთობის დროს. რას ნიშნავს დაუმორჩილებლობა და როგორ ისჯება კანონით?

ქართული სახელმწიფო ყოველთვის ამყობდა ახალგაზრდა თაობით და დღესაც შესანიშნავი და გონიერი ახალგაზრდობა ჰყავს ქვეყანას. ვფიქრობ, რადიკალების მხრიდან ჩვენი ახალგაზრდობის შეცდომაში შეყვანის, მათი დასტრესვის და კანონის ჩარჩოდან ყველანაირი საშუალებით გაყვანის ერთადერთი მიზეზი არსებობს. ახალგაზრდობას უბიძგებენ დანაშაულისაკენ და შემდეგ მათი დაცვის შნოც არ აქვთ, რაც ძალიან სამწუხაროა. ვფიქრობ, ახალგაზრდობა აუცილებლად მიხვდება, სად არის სივრცე და სად - ფარისევლობა.

ესაუბრა ლევან ქილღაძე



შვეიცარიული ბანკებისა და მათთან დაკავშირებული სკანდალების ისტორია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნების უმრავლესობა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. თუმცა, შემდეგული უცხოელები განაგრძობდნენ თავიანთი კაპიტალის დაცვისა და დანახარების შესახებ შევიცარიული ბანკების საცავების გამოყენებას. სწორედ ამ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკოსებმა წამოაყენეს საკითხი გადასახადების დაწესებისა და მათი გადახდების შესახებ, რითიც ერთა ლიგა დაინტერესდა, რომელიც შეეცაში მდებარეობდა.

შვეიცარიული ბანკები ძალიან უფროხილდებოდნენ თავიანთ საბანკო საიდუმლოს, რაც გამყარებული იყო საკანონმდებლო დონეზე 1934 წელს, პარიზსა და ბერნს შორის მომხდარი სკანდალის შემდეგ. თუ ამ საკითხის მიმართ ბანკების თანამედროვე დამოკიდებულებაზე ვისაუბრებთ, კანონი საბანკო საიდუმლოს შესახებ შევიცარიაში დღესაც მოქმედებს, როგორც კლიენტების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, მიუხედავად სანქციებისა და მსოფლიო მოთხოვნებისა.

პირველი მსხვილი სკანდალი

შვეიცარიულ ბანკებთან დაკავშირებული პირველი მსხვილი სკანდალი დაკავშირებულია ბაზელის სამი კომერციული ბანკის (BCB, Bfnque commerciale de Bale) დაპატიმრებასთან 1932 წელს, როცა ფინანსური ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა დაიწყეს იმ შემდეგული კლიენტებისთვის დივიდენდების გადახდა, რომლებიც გადასახადების გადახდას არიდებდნენ თავს. კლიენტთა რაოდენობა 1018 იყო, რომელთა შორის ცნობილი ადამიანებიც იყვნენ.



ყო ხელშეკრულებაზე მუშაობა დანაშაულთან ბრძოლაში ურთიერთდახმარების შესახებ. აღნიშნულ შეთანხმებას მხარეებმა 1977 წელს მოაწერეს ხელი. მასში იყო პუნქტი მხარეთა იურიდიული დახმარების შესახებ გადასახადების დაფარვასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების დროს.

ბანკი BCCI

შვეიცარიულ ბანკებთან დაკავშირებული მომდევნო სკანდალი მედიის ყურადღების ცენტრში 1980 წელს მოხვდა. Banque de Credit et de Commerce International-ი (BCCI) შვეიცარიის

არის დაკავშირებული. სწორედ ამ ადამიანმა დაულო სათავე UBS ბანკთან დაკავშირებულ ხმაურთან საქმეს, რომელიც იძულებული გახდა, ამერიკის ხელისუფლებისთვის გადაეცა ინფორმაცია 4 ათასზე მეტი საკუთარი კლიენტის შესახებ და დამატებით 780 მლნ ამერიკული დოლარის ოდენობის ჯარიმა გადაეხადა.

2022 წელს UBS-მა წააგო სასამართლო პარიზში და ჯარიმის სახით ფრანგების ვალი 4,5 მლრდ ევრო დაედო, რაც ფრანგული სამართალწარმოების ისტორიაში ყველაზე მსხვილი ჯარიმა გახდა საგადასახადო კანონმდებლობის ფარგლებში.

თა ასოციაციამ მოაწერეს იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკები ვალდებული არიან, მიიღონ და გადაამოწმონ ინფორმაცია საკუთარი კლიენტებისა და მათი აქტივების შესახებ თანხის ანგარიშზე შეტანამდე.

ფილიპინელი დიქტატორებისთვის ხელის დაფარვა

1995 წელს Credit Swiss-ი იძულებული იყო, დაებრუნებინა თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარი ფილიპინელი დიქტატორის ფერდინანდ მარკოსის ანგარიშებიდან. თუმცა, ეს შვეიცარიული სკანდალი მარტო Credit

საბანკო სკანდალები შვეიცარიაში

შვეიცარიის პოპულარული ბანკები პერიოდულად ეხვევიან ხმაურიან სკანდალებში, რომლებიც ფულის გათეთრებასთან და ფინანსურ მაქინაციათთან არის დაკავშირებული. ამასთან, შვეიცარიული ბანკინგის პოპულარობა მაინც უმაღლეს დონეზე რჩება, მიუხედავად მსოფლიო დამკვირვებლებთან კონფლიქტისა და რეგულატორის შეუტყობინებლობის გარეშე კლიენტთა ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა.

ბანკი BCI

ბანკი BCI შენგვაში 1959 წელს შეიქმნა და ისეთ კლიენტებსაც ემსახურებოდა, როგორც მაიერ ლანსკი იყო (ცნობილი იყო, როგორც „ამერიკული მაფიის ბუღალტერი“). მაგრამ ყველაფერი კარგად იყო 1973 წლამდე, როცა ფინანსური კრიზისი დაიწყო და ლანსკი მაიამში დააპატიმრეს გადასახადებისგან თავის არიდების გამო.

მაშინ შვეიცარიულმა ბანკმა მსხვილი კლიენტი დაკარგა, ერთი წლის შემდეგ კი Landesbank Hessen-Thuringen-ის თანამფლობელმა, რომელიც შვეიცარიული გიგანტის 36,42%-ს ფლობდა, თავისი წილის დაბრუნება მოითხოვა. 1976 წელს აღჭირავდა მეწარმე ფუად მუსტაფა ნაშატმა შენგვის პროკურატურაში განცხადება შეიტანა ბანკ BCI-ში 345 მლნ გირვანქა სტერლინგის დაკარგვის გამო, რაც შენგვის ფინანსური გიგანტის ლიკვიდაციის პროცედურის ბიძგი გახდა.

პირველმა სკანდალებმა საზოგადოებაში რეზონანსი გამოიწვია და ფრანგი და ამერიკელი კლიენტების ყურადღების ცენტრში მოექცა. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ამერიკის ხელისუფლება გამოხატავდა, რომელმაც 1973 წელს შვეიცარიასთან ერთად დაი-

ბანკია, რომელიც პაკისტანელმა მეწარმემ დააარსა და მსოფლიოში ბანკის 400 განყოფილება გახსნა, ვიდრე ამ ფინანსურ ინსტიტუტს მართავდა 10 წლის განმავლობაში.

აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს ეჭვი შეეპარა, რომ ბანკი ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვით მიღებულ ფულს ათეთრებდა, ჩატარებული გამოძიების შემდეგ კი ბევრი ბანკირი და ნარკოპოვაჭრე დააპატიმრეს. გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ არალეგალური დანაშაულებრივი ქმედებების კიდევ ერთი მონაწილე გახდა შენგვის კიდევ ერთი ბანკი — Banque de commerce et de placements (BCP), რომელიც დღეს შვეიცარიაში ერთ-ერთი წარმატებულია და განყოფილებები აქვს ლუბისა და ლუქსემბურგში.

ფულის გათეთრების შემთხვევებისა და შვეიცარიული სკანდალების მომრავლების გამო, რომლებიც ამგვარ მოვლენებთან იყო დაკავშირებული, კონფედერაციამ თანდათანობით დაიწყო შესაბამისი კანონების მიღება, რომლებიც მიმართული იყო ფინანსური მაქინაციების წინააღმდეგ. პირველი მუხლი ამ მიმართულებით შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსში 1900 წელს გაჩნდა, 1998 წელს კი ხელისუფლებამ მიიღო კანონი ფულის გათეთრებისა და ფინანსური ტერორიზმის წინააღმდეგ.

2000-იან წლებიდან დაწყებული, დღემდე, დეოფორიზაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა საერთაშორისო დონეზე და არაკეთილსინდისიერ გადასახადების გადამხდელებზე „ნადირობა“ ყოველდღე მკაცრდება.

„UBS-ის საქმე“

დაუსრულებელი შვეიცარიული სკანდალი, რომელიც 2009 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება, ბანკ UBS-სთან და ბოსტონელ ბრედლი ბირკენფილდთან

CREDIT SWISS მოვლენათა ქრონოლოგია

შვეიცარიის მსხვილი ბანკი, რომელიც ყველაზე ხშირად არის განხილული ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასა

Swiss-ს კი არა, სხვა ფინანსურ ინსტიტუტებსაც შეეხო, რომლებმაც ფილიპინელ კლიენტს ანგარიშები გაუხსნეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, შვეიცარიულმა ბანკმა ანგარი-



და გადასახადებისგან თავის არიდებასთან დაკავშირებულ სკანდალებში, Credit Swiss-ია. ამასთან, ბანკი პოპულარობას ინარჩუნებს უცხოელ კლიენტებს შორის, თუმცა, 2023 წელს ბევრი ანალიტიკოსი ამ ფინანსური გიგანტის გაკოტრებას და კრახს უწინასწარმეტყველებდა.

რა საქმეები უკავშირდება Credit Swiss და რა სკანდალებზეა საუბარი? ქრონოლოგიურად მივყვით მოვლენებს...

1977 წლის სკანდალი

1977 წლის გაზაფხული შვეიცარიის ლეგენდარული ბანკის Credit Swiss-ის კლიენტებს ხმაურიანი სკანდალით დაამახსოვრდა, როცა ცნობილი გახდა, რომ კიასოში არსებული ბანკის განყოფილების მენეჯერები დამოუკიდებლად ჩადიოდნენ მილანში მდიდარი იტალიელების ფულის წამოსადებად, რომლებსაც გადასახადებისგან თავის არიდება სურდათ.

იმავე წელს დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი შვეიცარიამ და შვეიცარიულ ბანკირ-

შები გაუხსნა თავად ფერდინანდ მარკოსს და მის მეუღლეს სხვა სახელებზე (უილიამ სანდერსი და ჯეინ რეიანი), რამაც საშუალება მისცა ბანკის ამ მომხმარებლებს, თავი აერიდებინათ კონტროლისთვის და გარკვეული დროის განმავლობაში რეგულატორების, საგადასახადო უწყებებისა და სხვა სამსახურებისთვის „უჩინარნი“ ყოფილიყვნენ.

აშშ-ის სანქციების დარღვევა

2009 წელს ბანკ Credit Swiss-ს 1995-2007 წლებში აშშ-ის მიერ ირანისა და სხვა ქვეყნების მიმართ დაწესებული სანქციების დარღვევის გამო წარედგინა 536 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდის ვალდებულება. როგორც აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ განმარტა, შვეიცარიულმა ბანკმა „ამ ქვეყნებს უფლება მისცა, წვდომა ჰქონოდათ ამერიკულ ფინანსურ უწყებებზე, რაც აკრძალულია ვაშინგტონის მიერ“.

ბელა გველმსიანი

(ბაბრძემეზა იქნება)

„დილა“ - გარდაიქმნა პარადიული ჯაჯილოვისა და სულიერი დაპურების უპირველესი წყარო

საყმაწვილო ჟურნალ „დილა“ შარშან ნომერში დაარსებიდან 120 წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, თბილისის მერიის მხარდაჭერით გამოიცა ჟურნალის 120-გვერდიანი საიუბილეო ნომერი.

საიუბილეო გამოცემაში შესულია 21-ე საუკუნეში ჟურნალის სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნებული საუკეთესო ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები და ბევრზე ბევრი საინტერესო და სახალისო ამბავი.

დარწმუნებული ვართ, როგორც პატარა მკითხველებს, ასევე, მათ შობლებსა და ბებია-ბაბუებს არაერთი სასიამოვნო წუთის გატარება მოუწევთ ჩვენი თანამგამოცემების არაერთი თაობის საყვარელ ჟურნალთან ერთად.

ჟურნალის გამომცემლის, ქალბატონი დოდო წიფიჭავჭავაძის მისაღობაში ვკითხულობთ:

„...„დილა“ რამდენი წლისაც არ უნდა იყოს, ყოველთვის ანთებული სანთელია, რომელიც გზას უნათებს პატარა მკითხველს!.. გვახსოვდეს, მას დიდი მოფრთხილება სჭირდება!

...ერის მომავალი ყოველთვის იმაზე დამოკიდებულია, თუ როგორი თაობა იზრდება! ეს ჭეშმარიტება კი კარგად ესმოდა ჩვენს წინაპრებს და ამიტომაც მოზარდი თაობის აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდნენ!

ჩვენს „კეთილ ჯადოქარს“ ბევრი ქართველი დასტყდომია, უფრო ხშირად ბეწვის ხიდზე უვლია, მაგრამ მართალი სიტყვა მოზარდ თაობამდე მიიწვინა!..



სიბრძნით სავსე „მოდგარს“ ქართველთა მოდგმის აღზრდაში მთელი 120 წელი გაუვლია...

ჩვენ, დღევანდელი „დილის“ თანამშრომლები, მადლიერებით ვიხსენებთ ყველა იმ დიდ წინაპარს, რომელთა თავდადება და რუდუნებამ ჟურნალის ყველა დროის პატარა მკითხველისთვის „დილა“ მარადიული ჯეჯილობისა და სულიერი დაპურების უპირველეს წყაროდ აქცია!..

ერთგვარი სიამაყის გრძობით მოგახსენებთ, არც დღევანდელი ჟურნალის „ფანატიკოს“ თანამშრომელთა გუნდის ხელში გადაუხვევია „დილას“ იმ გზიდან, იმ პირველი ხნულიდან, საიდანაც პირველი კვალი გაიყვანეს „საქართველოს თანამდევმა უკვდავმა სულემბმა“ — ჩვენი ჟურნალის პირველმა ავტორებმა: ილია ჭავ-

ჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ნიკოლაძემ, ვაჟა-ფშაველამ, დავით კლდიაშვილმა, მარიამ ივანიშვილი-დემურიამ, ნინო ნაკაშიძემ და სხვა მრავალმა...

ღმერთმა ქნას, ჟურნალ „დილა“ კვლავ ეროვნული სულისკვებით აღზარდოს მომავალი თაობის ნორჩი მკითხველი!

უფალო, გაბრწყინებულ, ბედნიერ საქართველოში ეცხოვროს მომავალ ქართველობას!

კიდევ უფრო ამაღლე მისი პატარა მკითხველი!”

ვულოცავთ „მხცოვან“ ჟურნალს სახელოვან იუბილეს და მკითხველთა, ქომოგთა, გულშემატკივართა და ნიჭიერ ავტორთა სიმრავლეს ვუსურვებთ!

ბელა გველმსიანი

„დილის“ საიუბილეო ნომრის ღირებულება (ფასდაკლებით) 10 ლარია. მისი შეძენა შეგიძლიათ ჟურნალის რედაქციაში (თბილისი, ზანდუკელის 1, მეტრო „რუსთაველის“ თავზე. რედაქციის ტელ.: 2 93 69 77), სამშაბათობით (551 08 06 07, მაია) და ოთხშაბათობით (568 90 81 22, ბელა) 12 საათიდან.

აქვე შეიძენთ ჟურნალის ადრე გამოცემულ ნომრებსაც მნიშვნელოვანი ფასდაკლებით.



რადიო „JAKO“ 20 წლისაა

საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატი“ და „სახალხო დიპლომატთა ერთობა“ ულოცავს რადიო „JAKO FM“-ს 20 წლის იუბილეს, რომელიც 2025 წლის 24 იანვარს სასტუმრო ბილტმორში შედგა. რადიო ორი გენიალური, ლეგენდარული სპორტული კომენტატორების ჯამლეტ ხუხაშვილის და კოტე მახარაძის სახელს ატარებს.

იუბილეზე არაოლიმპიურ სახეობებში 2024 წლის 10 საუკეთესო ქართველი სპორტსმენის დაჯილდოება გაიმართა. გამარჯვებულები შესაბამისი ხარისხის მედლებით, სერთიფიკატებით და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებაზე, საფუძველი ჩაეყარა ბადრი პატარკაციანიშვილის სახელობის ვილდოს, რომელიც გადაეცა სამი სპორტული კატეგორიის გამარჯვებულს.

ღონისძიების მხარდამჭერი საქართველოს სპორტის სამინისტრო გახლავთ.

ნიკო ანდრონიკაშვილი

„სახალხო დიპლომატიის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი

ციცი ბაროვაშვილი

„სახალხო დიპლომატთა ერთობის“ დამფუძნებელი



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგაომთავრო სენსორი „საერთო სიტყვა“

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა

რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბარკინიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

თამარ შევლიძე, გია ბურდული, მაია ჭვლიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭილაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველმსიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გაერცვლების მენეჯერი) 599 58 72 50.

<http://www.saertomedia.com>

მის.: თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;

ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)

E-mail: saertogazeti@yahoo.com. <http://www.saertomedia.com>

რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოცემა: შპს „ელვა-ჯი“

+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელი ავტორი. გასაგებება შესაძლებელია მასალის გამოკვეთის შემთხვევაში ერთი ავტორის ვადაში. ამგონიერი მასალის ავტორის არ უარუნდება.

© ამ ნომრით აღნიშნული საგაომთავრო მასალა.

ივანეშვილი შპს „სახალხო-დასავალი“ სტამბაში. აბლაქის 39. ტელ.: 234-39-99